



6354/4-15/21 2 23062021

6354/4-15/21

23-06-2021

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

როგორც მოგეხსენებათ, სპორტის სფეროში კორუფცია, უკანონო ფსონები, გარიგებული თამაშები და შეჯიბრებების მანიპულაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ყველა სახელმწიფოსთვის. ამ პრობლემის ირგვლივ მთავრობისა და სხვა სუბიექტების კოორდინირებული, მყისიერი რეაგირების უზრუნველსყოფად, ევროპის საბჭომ შეიმუშავა „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია. 2014 წელს საქართველო შეუერთდა ხსენებულ შეთანხმებას, მოგვიანებით, 2015 წლის 11 თებერვალს შეიქმნა „სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისია“, რომლის ერთ-ერთ ამოცანად სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება, დაინტერესებულ სუბიექტებს შორის ინფორმაციის დროული გაცვლა და საერთაშორისო თანამშრომლობა განისაზღვრა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. სამინისტროს მიერ რა კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდა „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების მიზნით?
2. 2015-დან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით, ქართულ სპორტში სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის რამდენი ფაქტი გამოვლინდა (გთხოვთ მიუთითოთ წელი, სპორტული სახეობა)? თითოეულ ფაქტთან მიმართებით რა კონკრეტული ღონისძიება გატარდა?
3. სამინისტროს მიერ რა ღონისძიებები განხორციელდა საქართველოში სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ პოლიტიკის განვითარების მიზნით?

გთხოვთ, ასევე მოგვაწოდოთ „სპორტული მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის“ მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიში (წლების მიხედვით) და ჩატარებული სხდომების ოქმები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ ყაველაშვილი



№ 00026643



06/10/2021

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ მიხეილ ყაველაშვილს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ პასუხს თქვენი წერილით (№6354/4-15/21, 23/06/2021) დასმულ კითხვებზე, კერძოდ:

1. პირველ შეკითხვაზე პასუხად, გაცნობებთ, რომ სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისმა კომისიამ განიხილა საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაციისა და მოსამზადებელი აქტივობების დაწყების შესახებ. ამ ფარგლებში, უწყებათაშორისი კომისიის გარიგებული თამაშების თემატური ჯგუფის ფორმატში, მომზადდა შესაბამისი კანონპროექტები კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის შესაბამისად. აღნიშნულ შეკითხვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი (№1 - სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და №2 - კომისიის სხდომის ოქმები).

2. მეორე შეკითხვაზე პასუხად, წარმოგიდგენთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციას, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების მიმართულებით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა თაობაზე, 2018-2020 წლებისათვის (იხ. დანართი №3 და №4). აქვე გაცნობებთ, რომ 2015-2017 წლების ოფიციალური მონაცემები, ასევე 2018-2020 წლებში წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ სხვა დამატებითი მონაცემები სამინისტროში დაცული არ არის.

3. მესამე შეკითხვაზე პასუხად, იხილეთ სამინისტროს ანგარიში სპორტულ შეჯიბრებებთან ბრძოლის მიმართულებით 2014-2021 წლებისათვის (დანართი №1).

4. ასევე, მოთხოვნისამებრ წარმოგიდგენთ სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის ოქმებს (იხ. დანართი №2). აქვე გაცნობებთ, რომ კომისიის მომდევნო სხდომის

ჩანიშვნა გადაიღო ორჯერ, 2020 წელს და ასევე, 2021 წლის დასაწყისში. ასევე, გიგზავნით საქართველოს მთავრობის დადგენილებას, სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის დაფუძნების თაობაზე (დანართი №5).

პატივისცემით,

საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
გიორგაძე სოსო





საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA



11/03/2021



SSG 1 21 00030251

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს
ბატონ შალვა გოგოლაძეს

ბატონო შალვა,

თქვენი 2021 წლის 21 თებერვლის №MES 7 21 0000140699 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების მიმართულებით ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2018-2020 წლებში გამოძიება დაიწყო სამ სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე), გამოძიება მიმდინარეობდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ბრალდებულის სახით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ხუთი პირი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული პირები დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება მიმდინარეობდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე (ორგანიზებული ჯგუფის მიერ პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილეთა, შეჯიბრების შედეგზე ზეგავლენის მიზნით, მოსყიდვის ფაქტზე). აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ბრალდებულის სახით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 11 პირი. ზემოაღნიშნული 11 პირიდან 4 პირი ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, 4 პირი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 203-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, 2 პირი 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, ხოლო ერთი პირის მიმართ, პროკურორის დადგენილებით, შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და გაფორმდა განრიდება.



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, გამოძიება მიმდინარეობდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე). აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), პასუხისგებაში მიეცა ერთი პირი. აღნიშნული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მიმდინარეობს არსებითი განხილვა და შემაჯამებელი გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
უფროსის მოადგილე
გიგა ნიკოლეიშვილი



შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში კომპილირებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი

სსკ მუხლი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
სსკ 203 მუხლი ("პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა")	1 (სსკ 203 მუხ. 1 ნაწ.)	1 (სსკ 203 მუხ. 3 ნაწ.)	0

შენიშვნა:

- 1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით სისხლის სამართლის სტატისტიკა გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს განიხილავს სტატისტიკურად, მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, შემდგომი ცვლილებების დინამიურად გათვალისწინების გარეშე.
- 2) 2019-2020 წელს გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკური მონაცემები მუშავდება საპილოტე რეჟიმში, ვინაიდან 2019 წლის ბოლოდან ნაწილობრივი ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის (Crimcase-2) ახალმა ვერსიამ, რომლის საგამოძიებო უწყებებში გეგმიური დანერგვა, სათანადო გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობდა ეტაპობრივად. აქედან გამომდინარე, რეგისტრირებული დანაშაულის (ასევე გამოძიების დაწყების) კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად ერთიანი კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშგების რეპორტის გენერირების მიზნით, ინფორმაციის დამუშავება ამ პერიოდებზე ხორციელდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი განსხვავებული ვერსიის (Crimcase-1 და Crimcase-2) სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №42

2015 წლის 11 თებერვალი

ქ.თბილისი

სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებისა და თამაშების გარიგების, ასევე სპორტში ძალადობისა და დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ კოორდინირებული ბრძოლისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე – კომისიის წევრი;
- დ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე – კომისიის წევრი;
- ე) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე – კომისიის წევრი;
- ვ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე – კომისიის წევრი;
- ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე – კომისიის წევრი;
- თ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ან მოადგილე – კომისიის წევრი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის დადგენილება №283 - ვებგვერდი, 26.06.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 21.01.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 2

ეთხოვით საქართველოს პარლამენტის წევრებს, ეროვნული სპორტული ფედერაციებისა და სხვადასხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში (კომისიის დებულების შესაბამისად).

მუხლი 3

დამტკიცდეს კომისიის თანდართული დებულება.

მუხლი 4



კომისიის საქმიანობის საორგანიზაციო უზრუნველყოფა განახორციელოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის განვითარების დეპარტამენტმა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ლარიბაშვილი

სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის დებულება

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 1

1. სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – კომისია) შექმნილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 2

1. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წევრების გარდა, კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ან, საჭიროებისამებრ, მიწვეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ან/და წევრ(ებ)ი კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებითა და ეროვნული სპორტული ორგანიზაციების, ასევე სხვა იურიდიული პირების ან/და სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლები კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით ან ამ უფლების გარეშე.
2. კომისიაში წევრი უწყების წარმომადგენლობის დადასტურება, ასევე ახალი წევრის მიწვევა ხორციელდება ოფიციალური კორესპონდენციის მეშვეობით.
3. კომისიის შემადგენლობიდან წევრის გაწვევა ხდება კომისიის წევრის წარმდგენი ორგანოს წინადადებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 3

კომისია ევროპის საბჭოს 1989 წლის დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის, „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ იუნესკოს 2005 წლის საერთაშორისო კონვენციის, „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს 2014 წლის კონვენციისა და „ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაცულობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ერთიანი მიდგომების შესახებ“ ევროპის საბჭოს 2016 წლის კონვენციის მიზნებისათვის ასრულებს ეროვნული პლატფორმის ფუნქციას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი ძირითადი ამოცანებია:

ა) ევროპის საბჭოს მიერ მიღებული: „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციიდან“ (1989 წ.), „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ (2014 წ.) და „ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაცულობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ერთიანი მიდგომის შესახებ“ (2016 წ.) კონვენციებიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოში არსებული პრობლემების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების შემუშავება;

ბ) სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის, ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის, სპორტის სხვადასხვა სახეობაში დოპინგის გამოყენების პრევენციისა და აღნიშნული ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი;

გ) სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების, ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის, სპორტის სხვადასხვა სახეობაში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით რისკების შეფასება და ანალიზი, ამ მხრივ შესაბამის სუბიექტებს შორის ინფორმაციის დროული გაცვლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;



დ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციებიდან, ეროვნული სპორტული ფედერაციებიდან და შესაბამისი უწყებებიდან სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან, ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილ ძალადობასა და არასათანადო ქცევასთან, სპორტის სხვადასხვა სახეობაში დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის (მათ შორის, კონფიდენციალური, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით) გამოთხოვა და ანალიზი;

ე) კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან მიმართებით, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების შესაბამის პლატფორმებთან თანამშრომლობა;

ვ) სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების, ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის, სპორტის სხვადასხვა სახეობაში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და აღნიშნულის საქართველოში დანერგვისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ევროპის საბჭოს კონვენციებიდან გამომდინარე, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებისათვის წინადადების შემუშავება;

თ) სპორტის სფეროსთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს მიერ სხვა ახალი კონვენცი(ებ)ის მიღებისა და საქართველოს მხრიდან მასთან/მათთან მიერთების შემთხვევაში, აღნიშნულთან მიმართებით, ამ მუხლის „ა“ – „ზ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ქმედებების განხორციელება;

ი) გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 4

1. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კომისიის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომის მომზადებას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი, რომლის მოვალეობასაც, კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ერთეულის ხელმძღვანელი ან სპეციალისტი, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას, კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისიის სხდომები მოიწვევა თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ.

5. კომისიის თავმჯდომარემ შეიძლება კომისიის სხდომები საჭიროებისამებრ მოიწვიოს დადგენილ ვადაზე ადრე.

6. კომისიის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

7. კომისიის სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის სხვა წევრებს.

8. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

9. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე (მისი



არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) და კომისიის მდივანი.

11. კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიასთან იქმნება კომისიის აპარატი, რომლის საქმიანობასაც უხელმძღვანელებს კომისიის მდივანი.

12. კომისიის აპარატი შედგება სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების, სპორტში ძალადობის, დოპინგის მიმართულებებით შექმნილი თემატური ჯგუფებისაგან.

13. თემატური ჯგუფების შემადგენლობაში შედიან კომისიაში წარმოდგენილი უწყებების წარმომადგენლები, ასევე შეიძლება, შედიოდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო, სპორტული და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

14. თემატური ჯგუფი ანგარიშვალდებულია კომისიის წინაშე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

მუხლი 5

კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.



სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში 2014-2021

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო



2014 წელს ხელმოსაწერად გაიხსნა ევროპის საბჭოს კონვენცია [სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის შესახებ \(The Convention on Manipulation of Sport Competitions \(CETS No.215\)\)](#), რომელიც მიზნად ისახავს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში და ასევე მის ფარგლებს მიღმა სპორტული თამაშების გარიგებისა და მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას, ეროვნულ დონეზე დარღვევასთან ბრძოლის კოორდინირებული მექანიზმების შექმნასა და განვითარებას და სხვა. საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა,

რომელმაც აღნიშნულ კონვენციასთან მიერთების პოლიტიკური ნება 2014 წელს ხელმოწერით დააფიქსირა. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. საქართველოში გარიგებული მატჩებისა და მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა სწორედ ზემოთ აღნიშნული კონვენციის ჩარჩოს შესაბამისად ხორციელდება.

კონვენციის ხელმოწერიდან საქართველო აქტიურად არის ჩართული ყველა საერთაშორისო პლატფორმაში, რომელიც „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის შესახებ“ კონვენციის დანერგვისკენ არის მიმართული. მათ შორის აღსანიშნავია:

- ეროვნული პლატფორმების ქსელი (კოპენჰაგენის ჯგუფი - [Group of Copenhagen](#));
- „სპორტი დანაშაულის გარეშე“ ([Keep Crime out of Sport –KCOOS+](#)).

ეროვნული პლატფორმების ქსელი წარმოადგენს კონვენციის დანერგვაში ჩართული მხარეების თანამშრომლობის პლატფორმას, რომელიც ძირითადად ემსახურება და მიზნად ისახავს ინფორმაციისა და წარმატებული გამოცდილების გაცვლას, ექსპერტული მხარდაჭერის მიღებას და ასევე ახალი სისტემებისა და მექანიზმების შემუშავებას. არსებული მდგომარეობით, გაიმართა ჯგუფის 9 შეხვედრა. საქართველო ჯგუფის საქმიანობაში 2017 წელს, შეხვედრების მე-4 ეტაპიდან ჩაერთო.

პროექტი „სპორტი დანაშაულის გარეშე“ ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტია, რომელიც ორ ეტაპად KCOOS (2016-2017) და KCOOS+ (2018-2020) ხორციელდება.

მისი მიზანია, ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმებით, როგორცაა რეგიონული სემინარი, სასწავლო ვიზიტი, ექსპერტთა მისია, სახელმწიფოთა მხარდაჭერა. საქართველო აღნიშნულ პროგრამებში 2016 წლიდან არის ჩართული.

ეროვნული პლატფორმების ქსელის ინიციატივით, პროექტ KCOOS+ ფარგლებში, 2019 წელს საქართველო შერჩეულ იქნა ოთხიდან ერთ-ერთ საპილოტე ქვეყნად ავსტრალიის წარმატებული გამოცდილების საფუძველზე, სპორტული შეჯიბრების მანიპულაციების შესახებ რისკების კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვის პროექტში. კვლევა განხორციელდა 12 ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციაში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ავსტრალიის მიერ დანერგილი საუკეთესო გამოცდილება აღნიშნული რისკების შეფასების მიმართულებით. კვლევა განხორციელდა ავსტრალიელმა ექსპერტმა სამინისტროს კოორდინაციით. კვლევის შედეგები შესაძლებლობას იძლევა, ინდივიდუალური მიდგომით, ოთხი ძირითადი მიმართულებით იქნას შეფასებული ქვეყანაში კონკრეტულ სახეობაში თამაშის გარიგებისა და მანიპულაციის რისკი. საქართველოში კვლევა შემდეგ სპორტის სახეობებში ჩატარდა: ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ჩოგბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, ჭიდაობა, ფარიკაობა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, სათხილამურო სპორტი. საქართველოში განხორციელებული პროექტი ეროვნული პლატფორმების ქსელის მიერ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კვლევად იქნა მიჩნეული.

ამავე პროექტ KCOOS+ -ის ფარგლებში, საქართველოს შესაძლებლობა მიეცა, 2017 წელს გამოეყენებინა სასწავლო ვიზიტის შესაძლებლობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში განხორციელდა, სადაც გაზიარებულ იქნა ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე გამოცდილება სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან ბრძოლის მიმართულებით.

ასევე, პროგრამების KCOSS და KCOSS+ ფარგლებში, საქართველომ მონაწილეობა მიიღო ორ რეგიონალურ სემინარში, 2016 და 2019 წლებში, რომელშიც სამინისტროსთან ერთად, სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის სხვა პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

საგრანტო მიმართულება

„ეროვნული პლატფორმების ქსელი“ საქართველოს შესაძლებლობას აძლევს გააფართოოს პარტნიორთა წრე და განავითაროს თანამშრომლობის მიმართულებები პლატფორმის ფორმატის მიღმა. ამ ფარგლებში, საქართველო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სფეროში მოღვაწე ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან პარტნიორობით მონაწილეობს Erasmus+ პროგრამის ფარგლებში წარდგენილ პროექტებში, როგორც პარტნიორი ქვეყანა, რაც ძირითადად მიმართულია კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვის, კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლებისაკენ.

2020 წელს, საქართველომ, როგორც პარტნიორმა ქვეყანამ, ისტორიაში პირველად, მოიპოვა ევროკავშირის საგრანტო პროგრამა ERASMUS+ ის გრანტი, პროექტისათვის Integrisport Next,

რაც სპორტის სფეროში პირველი პრეცედენტია. პროექტი ორიენტირებულია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების გამოვლენისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კვლევისა და კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მეშვეობით. პროექტი ორი წლის მანძილზე, 2021 და 2022 წლებში სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან ერთობლივად განხორციელდება.

პროექტი Integrisport Next-ის ფარგლებში, 2021 წლის მაისში ჩატარდა კვლევა საქართველოში მოქმედი პოლიტიკისა და არსებული გამოწვევების შესწავლის მიზნით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისიის წევრმა უწყებებმა, სპორტულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს პარლამენტმა და სფეროში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

გარდა ზემოთ აღნიშნული პროექტისა, სამინისტრო ევროპულ ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან ერთად განაგრძობს მონაწილეობას კოლაბორაციული პარტნიორობის პროექტებში გრანტის მოსაპოვებლად, როგორც არის მაგალითად პროექტი „MotiveActon” და “Defpol”.

ასევე, სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციასთან Global Lottery Monitoring System (GLMS), რომელიც სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ევროპული ორგანიზაციაა სპორტული შეჯიბრებების სავარაუდო შემთხვევების გამოვლენის მიმართულებით. ორგანიზაციასთან მიღწეულია შეთანხმება სამინისტროს, როგორც ეროვნული პლატფორმის კოორდინატორი ორგანოს ასოცირებულ წევრად მიღებაზე.


ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებები

კონვენციის ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ დაიწყო მზადება კონვენციის დანერგვისათვის. ამ მიზნით, პირველ ეტაპზე შეიქმნა ეროვნული პლატფორმა უწყებათაშორისი კომისიის სახით, კომისიის მე-13 მუხლის მიზნებისათვის. კომისია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N42 [დადგენილების](#) საფუძველზე შექმნილ კომისიას, რომელიც აერთიანებს სამთავრობო უწყებებსა და კერძო ორგანიზაციებს, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან კოორდინირებული ბრძოლის მიზნით.

არსებული მდგომარეობით, გამართულია კომისიის 4 სხდომა. ერთ-ერთ მათგანზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ კონვენციის რატიფიკაციისა და აღნიშნული მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

იხ. კომისიის სტრუქტურა:

**ეროვნული
პლატფორმა**



გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის მიმართულებით კომისიის ძირითადი ამოცანებია:

- „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ კონვენციიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოში არსებული პრობლემების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების შემუშავება;
- სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი;
- სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით რისკების შეფასება და ანალიზი, ამ მხრივ შესაბამის სუბიექტებს შორის ინფორმაციის დროული გაცვლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;
- შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციებიდან, ეროვნული სპორტული ფედერაციებიდან და შესაბამისი უწყებებიდან სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის (მათ შორის, კონფიდენციალური, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით) გამოთხოვა და ანალიზი;
- კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან მიმართებით, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების შესაბამის პლატფორმებთან თანამშრომლობა;
- სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლისათვის წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და აღნიშნულის საქართველოში დანერგვისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებისათვის წინადადების შემუშავება;
- გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

კომისიის თემატური ჯგუფების მიერ მუშაობა წარიმართა სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების სახელმწიფო პოლიტიკის საკანონმდებლო დონეზე ასახვის და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით. ამ მიზნით, მომზადდა კანონპროექტები:

- ✓ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შესახებ;
- ✓ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შესახებ;
- ✓ ასევე, სამინისტროს მიერ შემუშავდა კანონპროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“, რომლის ერთი თავი ეთმობა სპორტის მთლიანობის საკითხებს, ასევე კანონპროექტი ითვალისწინებს ტერმინებსა და ზოგად რეგულაციებს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

კომისიის მიერ გაწერილ იქნა ღონისძიებები „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების მიზნით.

2019-2020 წელს განახლდა კომისიისა და მისი თემატური ჯგუფების შემადგენლობა, გაიზარდა ჩართული უწყებების რაოდენობა და ასევე, კომისიის თემატურ ჯგუფში მოწვეულ იქნენ სპორტული ორგანიზაციები (ფედერაციები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი).

2017 წელს სპორტში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრა **საქართველოს ანტი-კორუფციული სტრატეგიის** ერთ-ერთ პრიორიტეტად და სამინისტრო ჩაერთო საბჭოს საქმიანობაში. ამ ფარგლებში შემუშავდა ორი სამოქმედო გეგმა, მიმდინარეობს დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაიგეგმა ასევე სტრატეგიული მიმართულების განვითარება და საქართველოს სპორტის მთლიანობის სტრატეგიის შემუშავება. ამ მიზნით, 2020 წელს სამინისტრომ გააკეთა განაცხადი ევროკავშირის მხარდაჭერის ინსტრუმენტის TAIEX ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა. ამ ფარგლებში ექსპერტთა მისიის მოწყობა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარების გამო პანდემიურ პირობებში, დაიგეგმა 2021 წელს.